



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
ტარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„22“ ჭიათურა 2019 წ.

დადგენილება № 14

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N174 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 11 აპრილის MES 9 19 00422057 წერილის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 25 დეკემბრის N115 დადგენილებით განსაზღვრული, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პედაგოგთა შრომის ანაზღაურება (8 ლარი) გაიზარდოს 30% -ის ოდენობით და განისაზღვროს 10,40 (ათი ლარი 40 თეთრი) ლარით.
2. დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე შრომითი ანაზღაურების 30 %-ის ოდენობით გაზრდა გავრცელდეს 2019 წლის 01 აპრილიდან განმომადგენლობით დადგენილებულ შრომით ურთიერთობებზე.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არლიცხვა-ანგარიშების სამსახურს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.
5. საფუძველი: „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ პედაგოგთა შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 მაისის N17 დადგენილება.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

წარმომადგენლობითი საბჭო
 სპიკერი, პროფესორი

ლ. ჩ. ჭავჭავაძე

ლავრენტი ჩიბურდანიძე